ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 12

ქ. თბილისი **02.09.2019**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი;
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი;
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი;
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი;
8. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი;
9. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში

გია ფოლადაშვილი -სკოლის დირექტორი

ნათია ქაქჯაია - დირექტორის მრჩეველი

თამარ მიდელაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ხათუნა ბარაბაძე

ირმა ხუციშვილი

ციალა გაგნიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 17:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ, ირმა ხუციშვილმა და ციალა გაგნიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო მისია საფეხურების მიხედვით, რომელიც აღწერდა საფეხურიდან-საფეხურზე გადასვლისას მოსწავლეთა მისაღწევ შედეგებს. ზემოაღნიშნული მისაღწევი შედეგები აქტივობებად ჩაშლილი იყო სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლის დირექციასთან ინტერვიუირებით და დირექტორის ბრძანებით დგინდებოდა, რომ კლასში მოსწავლეთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა იყო 25 მოსწავლე. სკოლის მიერ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ კონკრეტდებოდა სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების თარიღები, მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში, თუმცა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დაზუსტებული სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლის დირექციასთან ინტერვიუირებით დაზუსტდა, რომ სკოლა გამოხატავდა მზაობას, სკოლის მისიის შესასრულებლად უფრო კონკრეტული აქტივობები გაეწერა სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოსწავლეთა იმ კონტიგენტის გათვალისწინებით, რომელსაც სკოლა ავტორიზაციის შემთხვევაში მიიღებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავის #18-20, ნაკვეთი 7/31, საკადასტრო კოდი 01.12. 007.03. სკოლას 2019 წლის 1 თებერვალს - 2025 წლის 1 აგვისტომდე 6 სასწავლო წლის ვადით იჯარით ჰქონდა აღებული „შ.პ.ს.ფონიჭალა 1"- გან საერთო ფართით 5130.00 კვ,მ N1 შენობა, N2 შენობა.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა31 საკლასო ოთახი. თითოეული ოთახის ფართი იყო 35 კვ.მ და მეტი, ამათგან 20 საკლასო ოთახში განთავსებული იყო 500 ერთადგილიანი მერხი და 500 სკამი სულ 500 მოსწავლეზე გათვლილი. ოცივე საკლასო ოთახში იყო მასწავლებლის მაგიდა, სკამი, სასკოლო დაფა და სხვა აუცილებელი ავეჯი. ამის გარდა დაწესებულებაში იყო ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სადაც ასევე მუშაობდა სკოლის ადმინისტრაცია, ექთნის ოთახი, დარაჯის ოთახი, სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ასევე

სკოლას გააჩნდა დამხმარე ოთახები და 4 დიდი ფართის ოთახი, რომელთა გამოყენება სავსებით შესაძლებელი იყო ფიზიკური აღზრდის, ლაბორატორიებისა და საკლუბო მუშაობებისთვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 2 თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სპორტული მოედანი და 1 სპორტული დარბაზი. დარბაზში შესასვლელად მოსწავლეებს უნდა გაევლოთ სკოლის შენობის უკან მიმდებარე ვიწრო გასასვლელით რომლიც საფრთხეების შემცველი იყო. ამ საფრთხეებს შორის იყო სკოლის შენობაზე მიდგმული საქვაბეც, რომელიც ნაწილობრივ ხერგავდა გასასვლელს და ექსპერტის აზრით, საფრთხის შემცველი იყო. თუმცა, სკოლის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ექსპერტთა შეფასება და დაიწყო მუშაობა სპორტულ დარბაზში შესასვლელის სხვა, უსაფრთხო მხრიდან გადატანის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპორტულ დარბაზში შესასვლელის გადატანაზე დაწყებული იყო მუშაობა. რაც შეეხებოდა საქვაბეს, მოქმედი რეგულაციის თანახმად შესაძლებელი იყო საქვაბის აღნიშნულ პირობებში არსებობა, თუ შენობას ჰქონდა სამმხრივი ვენტილაციის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლის პედაგოგები შერჩეული იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის ზოგიერთი პედაგოგის კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, თუმცა ჰყავდათ 6 მასწავლებელი, რომლებიც არ იყვნენ სქემაში ჩართულნი. სულ ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ 41 მასწავლებელთან, მათგან 24 უფროსი მასწავლებელი იყო, 11 პრაქტიკოსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ იყვნენ პედაგოგები სქემაში ჩართულები. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში პედაგოგები აუცილებლად ჩაერთვებოდნენ სქემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 500 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში - ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში-ს (ს/კ: 400147541) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე